გაუარესებული ყოფითი პირობები, შერყეული ჯანმრთელობა და გაზრდილი სარეიტინგო ქულა

ვალენტინა კაზაკოვა: „ხანდახან ისიც კი ვიფიქრე, რუსი ვარ და იმიტომ მექცევიან ასე“

თემურ მარშანიშვილი

ეროვნებით რუსი ვალენტინა კაზაკოვა ოზურგეთში, კოსტავას ქუჩის №117-ში, ე. წ. „ჩაის ფაბრიკის“ ბინებში ცხოვრობს. იგი გაისად, იანვარში 90 წლის გახდება. როგორც თვითონ ამბობს, დიდი ომიანობის ჟამს, მისი მშობლები შვილებითურთ ამიერკავკასიაში გადმობარგებულან:

„ჩემი მშობლები რუსეთში ცხოვრობდნენ. დიდი სამამულოს დროს, როცა ქვეყანაში ომი და შიმშილი მძვინვარებდა, მე და ჩემს ძმას ხელი ჩაგვავლეს და ამიერკავკასიაში გადმობარგდნენ საცხოვრებლად. ეს ყველაფერი კარგად მახსოვს, ლუკმა პურის შოვაში გვიღამდებოდა დიდსა და პატარას. თავდაპირველად ბაქოში დავბინავდით, 1951 წლიდან კი ოზურგეთში ვარ. აქ გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება. თითქმის 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი ზვანის ჩაის ფაბრიკაში. მშობლები ადრე გარდაიცვალნენ, მერე ჩემზე ორი წლით უფროსი, ერთადერთი ძმაც დამეღუპა. აღარავინ მყავს ნათესავთაგანი არც რუსეთში, არც ბაქოში და არც ოზურგეთში. ეს ორი პატარა ოთახია ჩემი ავლადიდება“, – ხმა უკანკალებს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, ცდილობს, არ გამორჩეს სათქმელი.

მარტოხელა ქალბატონი, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს, მოხუცებულობის პენსიასთან ერთად, იღებდა სოციალურ დახმარებას, რომელიც ორი თვის წინათ შეუწყვიტეს:

„ჯანმრთელობა ისე გამიუარესდა, დამოუკიდებლად გადაადგილება მიჭირს. მეზობლები რომ არა, საპირფარეშოშიც ვერ ჩავაღწევდი ეზოში. მოხუცებულობის პენსიასთან ერთად, სოციალურ დახმარებას ვიღებდი, რომელიც ორი თვის წინ შემიწყვიტეს. ხანდახან ისიც კი ვიფიქრე, რუსი ვარ და იმიტომ მექცევიან ასე. 2006 წლის 18 მაისის მონაცემებით, ჩემი სარეიტინგო ქულა 46 700 იყო, წლევანდელი 11 ივლისიდან კი 67 550-მდე აუყვანიათ, მაშინ, როცა პირობებიც გამიუარესდა და ჯანმრთელობაც შერყეული მაქვს“. ვერ გეტყვით, რა ეწერა მასში, რადგან ქართული საერთოდ არ ვიცი, აგენტს კი არ უთარგმნია“, – შესაბამის დოკუმენტაციებს მაწვდის.

ვამშვიდებ, რომ ეროვნება არაფერ შუაშია. აქვე ვინტერესდები, თითქმის 70 წელია, რაც საქართველოში, კერძოდ, ოზურგეთში ცხოვრობს და ამ ხნის განმავლობაში რატომ არ შეისწავლა ქართული ენა:

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №31 (10121), 3 აგვისტო, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთში სპორტული ტანსაცმლის წარმოება დაიწყება

თურქული კომპანია **„fast track textile“**, გურიაში რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში, გია სალუქვაძე კომპანიის დირექტორს ალი შაჰინს შეხვდა.

„fast track textile“-ს ძირითად საქმიანობას სპორტული ტანსაცმლის წარმოება წარმოადგენს. დამფუძნებელი, მსოფლიო ბაზარზე **adidas, NIKE, VANS** -ის ფირმების უმსხვილეს მწარმოებელ კომპანიად არის ცნობილი. კომპანიის მიზანი ქალაქის ცენტრალურ უბანში სამკერვალო საწარმოს აშენება გახლავთ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო-სარეალიზაციო ფართების შესწავლის შემდეგ მოლაპარაკება შემდეგ ეტაპზე გადავა. პროექტის განხორციელების შემდეგ საწარმო 450-მდე ადგილობრივ მაცხოვრებელს დაასაქმებს.

„მხარის ხელისუფლება კომპანიას პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში სრულ მხარდაჭერას უცხადებს. გურიის რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს. მსგავსი სახის პროექტები რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. მინდა მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს, რომლის უშუალო მონაწილეობითაც შედგა დღევანდელი შეხვედრა,“ - განაცხადა **გია სალუქვაძემ.**

შეხვედრას გუბერნატორის მოადგილე, სოსო ერქომაიშვილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბეგლარ სიორიძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, მურთაზ ფოცხიშვილი და **„fast track textile**-ს“ კომპანიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბენეფიციარების პროტესტი

ანუ რა ხდება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოში

ნუგზარ ასათიანი

ერთი თვის წინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს მომსახურებისთვის გამოცხადებულ ტენდერში შპს „მანიბამ“ გაიმარჯვა.

გაზეთ ალიონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შპს „მანიბას“ დირექტორმა თეონა ჯავახიშვილმა მაშინ აღნიშნა: „გვაქვს საკმაო გამოცდილება, რომ სიახლეები შევიტანოთ ამ სასადილოს მუშაობაში. მაინც ქ. ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს დამოკიდებულება იქნება მთავარი სიახლეების დასანერგად.“

გაზეთი „ალიონი“ შპს „მანიბას“ მენეჯერს ნატო მეფარიშვილსაც ესაუბრა: „სურსათის უვნებლობის სამსახურის აზრი გვაინტერესებს სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით. სამზარეულოს აუცილებლად სჭირდება რემონტი.“

„მანიბა“ ტენდერის პირობის მიხედვით 3 თვის განმავლობაში უნდა მოემსახუროს მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს. მათი დანაპირებიდან ჯერჯერობით შემოტანილია საყოფაცხოვრებო მაცივარი და ჩატარებულია კოსმეტიკური რემონტი უფასო სასადილოს სამზარეულოში.

„მანიბას“ ხელმძღვანელმა არ ჩათვალა საჭიროდ სასადილოში 6 ადამიანის მუშაობის საჭიროება (ისინი დღეგამოშვებით მუშაობდნენ) და 3 ადამიანი (მზარეული, მზარეულის თანაშემწე, დამლაგებელი) ყოველდღიურად მუშაობენ, თუმცა, ჯერჯერობით მათთან არ არის გაფორმებული არანაირი სახის შრომითი ხელშეკრულება და არც ხელფასის მომატებაზე ჰქონდათ ინფორმაცია.

29 ივლისს მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს ბენეფიციარებმა მომსახურების გაუარესების გამო პროტესტი გამოხატეს.

– დაბალია საკვები პროდუქტების ხარისხი. სასადილოში უვარგისი ხორცი და დაბალი ხარისხის პროდუქტები შემოაქვთ. არ გვინდა წყალწყალა სუფები, – აცხადებდნენ ისინი.

ამ თემაზე იმავე დღეს ქ. ოზურგეთის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები, ქ. ოზურგეთის მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოში

მივიდნენ და „მანიბას“ მიერ შემოტანილი გაყინული ხორცი ვიზუალურად დაათვალიერეს.

ნინო ტაბატაძე, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: - ხორცი ვიზუალური დათვალიერებით ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სურსათის უვნებლობის სამმართველოში გადავედი და უფროსს კახა თავბერიძეს ვუთხარი, რომ საჭირო იყო ამ ხორცის ლაბორატორიული შემოწმება. თავბერიძემ მიპასუხა, რომ ოფიციალური განცხადებიდან სამი დღე იყო საჭირო სურსათის უვნებლობის სააგენტოდან ნებართვის მისაღებად. არ მეგონა „მანობას“ წარმომადგენელი მალხაზ იანტბელიძე (თეონა ჯავახიშვილის მამამთილი) ხორცს თუ ასე ოპერატიულად გააქრობდა... მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა თამარ დუმბაძემ სურათები გადაუღო, სადაც კარგად ჩანს ხორცის ვიზუალური სახე..

30 ივლისს, გაზეთი „ალიონი“ სასადილოს ბენეფიციარებს ადგილზე ესაუბრა:

– 86 წლის ქალი ვარ. 47 წელი ვიმუშავე ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში. ამ სასადილოში ახლა ღორიც კი არ შემოიშვება. სასადილოს კუთხეში წყალი ჩამოდის. სამზარეულოს წინ იატაკი ჩავარდნილია. წყლიანმა ლობიომ და „გაროხის“ („ბარდა“) სუფმა კიდევ უფრო დაგვაუძლურა. კალორია ხომ უნდა მივიღო. სახლში სერიალს ვუყურებდი

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გაუარესებული ყოფითი პირობები, შერყეული ჯანმრთელობა და გაზრდილი სარეიტინგო ქულა

„მთელი ჩემი ცხოვრება, გარდა ფაბრიკისა, არსად მიმუშავია, ფაბრიკაში კი, ყველა, მათ შორის ქართველებიც, რუსულად საუბრობდნენ. ცოტა ვიცოდი, მაგრამ მერე მეხსიერებამ მიღალატა და ის ცოტაც დამავიწყდა“, – მპასუხობს და ცდილობს, თვალი ამარიდოს.

როგორც ქალბატონ ვალენტინას, ისე ჩვენაც აგვიხსნეს, რომ ქულების მატება რეიტინგის გამოთვლის მეთოდოლოგიის შეცვლამ განაპირობა. ეს ტექნიკური ხარვეზია და როგორც ბატონმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა, ახლა პროგრამა ცენტრალიზებურად გადატარდება და მარტოხელები, შეიძლება, ავტომატურად მოხვდნენ სოციალური დახმარების მიმღებთა სიაში.

კიდევ უფრო საიმედო ჩანს ამ თემაზე პრემიერის გამოსვლა საქართველოს მთავრობის 30 ივლისის სხდომაზე, სადაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი განიხილეს:

„მე ვიცი, რომ სამთვიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ყველა ის საკითხი, რაც შეცვლას და დახვეწას საჭიროებს. დღეს სწორედ იმ მარტოხელა პენსიონერებისთვის, რომლებიც პროგრამის მიღმა დარჩნენ, საარსებო შემწეობის აღდგენის საკითხს განვიხილავთ. უფრო მეტიც, ჩვენ მათ, კომპენსაციის სახით, ავუნაზღაურებთ შესაბამის თანხას, რომელიც უნდა მიეღოთ იმ თვეების განმავლობაში, როდესაც შემწეობის მიღება შეჩერებული ჰქონდათ“, – განაცხადა სხომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა.

ქალაქ ოზურგეთის №3 და №5 საჯარო სკოლებმა კომპიუტერები მიიღეს

ტექნიკა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სამსახურმა მოთხოვნისამებრ დაარიგა.

კომპიუტერები სკოლებს ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიიმემ, მერის მოადგილემ კობა დუნდუამ და ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა ლელა იმედაშვილმა გადასცეს.

კომპიუტერული ტექნიკის ტრანსპორტირება და საჯარო სკოლებისთვის გადაცემა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო.

სპრინინგი უფასოდ

გამოკვლეულთაგან 30 პროცენტზე მეტს C ჰეპატიტი დაუდასტურდა

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზჯანდაცვის დეპარტამენტის გურიის განყოფილებაში (ექვთიმე თაყაიშვილის მე-6 შესახვევი №3, ექადია) C ჰეპატიტის უფასო გამოკვლევის აქცია მიმდინარეობს.

როგორც აღნიშნული განყოფილების უფროსმა, ექიმმა არჩილ მჟავიამ გვითხრა, გამოკვლევა რამდენიმე ასეულმა ადამიანმა უკვე გაირა. გამოკვლეულთაგან 30 პროცენტზე მეტს C ჰეპატიტი დაუდასტურდა.

უფასო გამოკვლევები 6 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.

რა საკითხებს განიხილავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 5 აგვისტოს სხდომაზე

ბიურომ, 29 ივლისს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცა. 5 აგვისტოს გასამართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატები მუნიციპალიტეტის ახალ სიმბოლოებს, გერბსა და დროშას დაამტკიცებენ.

„მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა ავტორს აქტიურობისა და იმ ნდობისთვის, რომელიც ჩვენ სამუშაო ჯგუფს და მთლიანად საკრებულოს გამოუცხადეს. სიმბოლოების შერჩევა მართლაც დიდი პასუხისმგებლობა იყო ჩვენთვის. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი სრულიად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. მირიან კიკნაძის ნამუშევარს დავამტკიცებთ საკრებულოს სხდომაზე, რომლის ესკიზმაც ჰერალდიკის საბჭოს თანხმობაც მოიპოვა, ავტორთან შეთანხმებით, ნამუშევრში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის შემდეგ.” – თქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ.

ბიუროს წევრებმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის გია მამაკაიშვილისგან 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაძლო ცვლილებებზეც იმსჯელეს და გადაწყვიტეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გავიდეს. საკრებულოს სხდომაზე ასევე იმსჯელებენ „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი საპრივატიზაციო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ” და კენჭს უყრიან “საკრებულოს წევრის შოთა ართმელაძის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებას.

ბზის ალურას წინააღმდეგ შესხურების მეორე ეტაპი

ალიონი. როგორც აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აკადემიური დოქტორი ანგელინა ნიკოლაიშვილი გვატყობინებს, დადგა ბზის ალურას წინააღმდეგ შესხურების მეორე ეტაპის ვადა.

გურიის რეგიონში გავრცელებული ბზის ყველა ნარგაობა, რომელზეც გავრცელებულია ეს საშიში საკარანტინო მავნებელი, აუცილებლად უნდა შესხურდეს.

შესასხურებლად ქიმიური პრეპარატებიდან სასურველია ალპაკის ან კრალის რომელიმე ინსექტიციდის 0,1% ემულსია.

შესხურებაზე მომუშავე პირებს აუცილებელია ჰქონდეთ პროფესიული ცოდნა და გამოცდილება.

მცენარეების შესხურებისას დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების ყველა წესი, რათა ასეთმა დამუშავებამ არ იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცხოველებსა და ბიოსფეროზე.

ბიუსტის ნაცვლად განცხადებები?!



ქეთი ბოლქვაძე

ეს სურათი 30 ივლისს სამუსიკო სკოლის წინ გადავიღეთ. კვარცხლბეკზე რამდენიმე წლის წინათ უკვდავი ოპერის – „ქეთო და კოტეს“ ავტორის, გენიალური ქართველი კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის ბიუსტი იდგა. დღეს კი, როგორც ხედავთ, მას განცხადებების გამოსაქვეყნებლად იყენებენ. მოსახლეობის თხოვნაა ქალაქის ხელმძღვანელობამ სრულყოფილად აღადგინოს ოზურგეთელი კომპოზიტორის ბიუსტი სამუსიკო სკოლის წინ.

ბენეფიციარების პროტესტი

ანუ რა ხდება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოში

და ამით ვივიწყებდი ჩემს გაჭირვებას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველი ვარ, ციფრული სიგნალის მიმღები არ მომცეს. ვიფიქრე, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში მაინც ვუყურებ სატელევიზიო გადაცემებს, მაგრამ ტელევიზორი აქაც დადუმდა, – გვითხრა **ენიჩქა ქოჩოიანმა.**

– მზარეულმა რა ქნას. რა პროდუქტსაც მისცემენ, იმას აკეთებს. მაგრამ „გაროხის“ სუფს რომ გვაჭმევენ, ღორები ხომ არ ვართ –თქვა სულიკო თოდრაძემ.

ნოდარ ჩხაიძე:– თუ უნდათ, ბალახის შეჭამანდი გააკეთონ. მე არაფერზე არ მაქვს პრეტენზია. საერთოდ რომ გვაჭმევენ, იმაზეც მადლობელი ვარ.

მამია თოდრაძე:– 84 წლის კაცი ვარ. 3 წელია აქ დავდივარ. სისუფთავე არის. იმფერი, კაი ქალები არიან, კარგადაც გვემსახურებიან, მაგრამ 3 ქალი გაათავისუფლეს და ეს სამი როგორ შეძლებს ამდენი ადამიანის მომსახურებას?

სულიკო ხანთაძე:– – ხომ შეიძლება „სოუსი“ ან სხვა ხორციანი წვნიანი გააკეთონ? მწვანე ლობიო არ გაუკეთებიათ. „გაროხის“ სუფი იყო თანასწარ. მე აქ მხოლოდ პურს ვღებულობდი. ეგ „გაროხის“ სუფი სახლში მიმქონდა და ძაღლებს ვაჭმევდი.

ქალბატონმა ზინა ტულუშმა „ქარაგმებით“ გადმოგვცა სათქმელი: – ზოგი ამბობს, კომპოტს და კისელს არა აქვს შაქარი; ზოგი ამბობს, ხორცი არ გვაღირსესო; ზოგი კი - წყალწყალა „გაროხის “სუფს ვერ იტანს... ადრე ბაზრიდან მოჰქონდათ ახალი ხორცი, ახლა გაყინული, უვარგისი ხორცი მოაქვთო...

პრეტენზიები ჰქონდათ **მაყვალა მურვანიძეს, ვიოლეტა ცერცვაძეს.** ამ უკანასკნელმა საჯაროდ გალანძღა „მანიბას“ წარმომადგენელი ბენეფიციარებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო.

–აქ კარგს მხოლოდ მზარეულებს ვხედავ. აბუჩად აგვიგდეს, თითქოს ადამიანები არ ვიყოთ. ისეთი ხორცი მოიტანეს, ძაღლსაც არ აჭმევენ. მენიუ უნდა შეიცვალოს. როგორ შეიძლება სულ წყალწალა სუფებს გაჭმევდნენ? პურის გულისთვის დავდივარ აქ, რომ რაიმე საკვები მივიღო...

სადილობის დაწყების წინ მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე და დეპუტატები მივიდნენ.

ქ. ოზურგეთის მერმა ის ხორცი მოიკითხა, რომლის გამო ბენეფიციარები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

– სად არის ხორცი, რომელიც დღეს შესამოწმებლად ლაბორატორიაში უნდა გაეგზავნათ? – იკითხა მერმა.

– ჩვენ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ასეთ სასადილოს ვემსახურებით. რადგან გაყინული ხორცი დაიწუნეს, სხვა სასადილოში გადავიტანეთ. ჩვენ ტენდერის პირობებში ხორცი გვიწერია და არაა აღნიშნული გაყინული ხორცი არ შეიძლება –უპასუხა მალხაზ იანტბელიძემ.

– არა, ჩვენ ის არ გვითქვამს გაყინული არ უნდა შემოიტანოთ, გაყინულ ხორცს მეც ვჭამ, მაგრამ აქ იმაზეა საუბარი, უვარგისი საჭმელი არ უნდა აჭამოთ ამ ხალხს."–თქვა ქალაქის მერმა.

– თქვენ არასწორად მოგაწოდეს ინფორმაცია, მე კითხვა მაქვს ასეთი:–გუშინ ვინ არ შეჭამა აქ ის საჭმელი? – დასვა კითხვა „მანიბას“ წარმომადგენელმა.

ყველას პასუხი დადებითი იყო.

ქალაქის მერმა მომსახურე პერსონალთან გაუფორმებელ ხელშეკრულებებზეც დასვა კითხვა.

– ამ ადამიანებთან ხელშეკრულება თუ გაქვს გაფორმებული, სამსახურში ვინც გყავს აყვანილი? და მეორე, ამ ხალხს გაფუჭებულ ხორცს აჭმევთ, ახლავე ხარ დასაჭერი. გადავცემ შესაბამისს სამსახურს იმ ყველაფერს, რაც აქ ხდება და ჭკუას ისწავლით, თქვა ბეგლარ სიორიძემ.

– ბატონო ბეგი, აქ ვიღაცეებს არ მოვწონვარ და ამის გამო ატეხილია ეს ამბავი, მაგალითად, აგერ ერთი ქალბატონი, რომ მოვედი იმ დღიდან მლანძღავს,– მიუთითა ბენეფიციარ ვიოლეტა ცერცვაძეზე.

– არ გლანძღავ, ვამბობ იმას, რაც ხდება, თქვენ ჩვენ, ისედაც გამწარებული და გაჭირვებული ხალხი აბუჩად გყავართ აგდებული.

– აბუჩად რატომ? მოსვლის მეორე დღიდან რემონტის გაკეთება რომ დავიწყე და ჩამონგრეული კედლის და ჩავარდნილი იატაკის შეკეთება, ამიტომ?

– რემონტზე არავინ არ ლაპარაკობს, უვარგისი საჭმლის მოტანა არ უნდა გვაკადრო...

დასმულ კითხვაზე – არის თუ არა საკმარისი 140 ბენეფიციართან 3 მომსახურე პირი, იანტბელიძემ უპასუხა, რომ ქობულეთში 280 ბენეფიციარს 3 ქალი ემსახურება.

– მე ტენდერი მოვიგე და თავად ვიცი, რა რამდენია საჭირო – ამბობდა იგი.

ჩვენ სურსათის უვნებლობის სამსახურში მივედით. სამსახურის უფროსი და სურსათის უვნებლობის სპეციალიტები კურორტ მაგნეტიტში იმყოფებოდნენ შემოწმებაზე.

–მე ახლახან დავინიშნე სურსათის უვნებლობის სპეციალისტად. რომელიმე ობიექტის შემოწმება რომ განვახორციელოთ, სურსათის უვნებლობის სააგენტოს ნებართვაა საჭირო. ამ პროცედურებს კი სამი დღე ესაჭიროება –გვითხრა კობა კიღურაძემ.

– ჩვენ ყოველდღიურ მონიტორინგს განვახორციელებთ. შპს „მანიბას“ ხელმღვანელს თეონა ჯავახიშვილს დავუკავშირდი და ისიც გავიგე, რომ მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს მომსახურე პერსონალს დატვირთვიდან გამომდინარე, ხელფასებსაც გაუზრდიან –გვითხა ქ. ოზურგეთის მერიის სოცილაურ საკითხთა სამსახურის უფროსმა **თამარ დუმბაძემ.**

მარუსია

ხანდაზმული ქალბატონი ცალ ხელში კორვალოლითა და ცალში _ ხურდაფულიანი თავშალით

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე, რესტორან „ქალაქურს“ გამოცდებით თუ არა, ყოფილი „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალის ოფისის წინ, იქ, სადაც ახლა „ელიტელექტრონიქსი“ დიდი მაღაზიის გახსნას აპირებს, კიბის საფეხურებზე, დილიდან საღამომდე ზის ერთი ქალბატონი, ცალ ხელში კორვალოლით, ცალში კიდევ ხურდაფულიანი თავშალით და მოკრძალებით შემწეობას ითხოვს.

სოფელ ჯუმათის მკვიდრი, 88 წლის მარუსია ჯინჭარაძე ამბობს, რომ მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა უბედურება და სიდუხჭირე არ დაკლებია:

„რა გითხრა, ნენა? ჩემს თავზე წისქვილის ქვაი არ დატრიალებულა, თვარა სხვაი უბედურება არ დამკლებია. სამი შვილი და ქმარი მიწევს „მოიდანახეზე“.

რაცხას კი ვფოჩიხობდით მე და ჩემი ქმარი. 30 წელი ვმუშაობდით ერთად ჯუმათის სახერხ ქარხანაში დარაჯად. უკეთესი ცხოვრება კი გვინდოდა, მარა ისე არასდროს ვყოფილვართ, თავი და ოჯახი რომ ვერ გაგვეტანა. მეუღლისა და შვილების დაღუპვის შემდეგ კი, საბოლოოდ დეიქცა ჩემი ცხოვრება. ახლა აგერ ქი ხედავ, რა დღეშიც ვარ, გული მაწუხებს ნამეტარი. თლა უპატრონო არ გეგონო, ქალიშვილთან ვარ, ოღონდ ჩემთვის, ცალკე, სიძემ ვერ ამიტანა და იმიზა“.

– ქალიშვილთან ვცხოვრობო, ბრძანეთ, იცის, რომ აქ ზიხართ და შემწეობას ითხოვთ?

– ორივემ იცის, მაგრამ მაგენს ვინ კითხავს? თვითონ უმუშევრები არიან და მე რას მიშველიან?! მე ჩემთვის ვარ და რაფერმე უმაგინისოდ გევიტან თავს.

– გეხმარებათ ვინმე?

– კი, გამვლელ-გამომვლელი. ხელს არავის ვუწვდი, მაგრამ რომ ჩამივლიან, ხურდას მიყრიან ამ თავშალში. სხვებისგან განსხვავებით, ხელისუფლებასაც ვემადლიერები და ეკლესიასაც, ცოდვას ვერ ვიტყვი, არაერთხელ დამხმარებიან. ლოცვით ვუხდი ყველას მადლობას. ამ ბოლოს ნამეტარი გამიჭირდა, თვარა აქ არ დავჯდებოდი.

– პენსიას იღებთ?

– კი

– სოციალურს?

– კი

– აბა, რა გაგიჭირდათ ასეთი?

– ოთხი თვის პენსია და დახმარება ერთად გამევიტანე და თირკმლების ოპერაცია გევიკეთე. ქურდი და წუწკი არ ვარ, ლუკმა-პურის ფულს ვაგროვებ ასე, სხვა აფერი არ შემიძლია და არსებობა ხომ მინდა?!

– ოპერაცია არ დაგიფინანსეს?

– რაცხა კი დამიფინანსეს, მარა მაინც ბევრი დამეხარჯა. „ბალნიცაში“ თითქმის ყველა ხელში მიყურებდა, დაახლოებით ისე, რაფერც მე ვუყურებ ახლა ყველას...

სურათის გადაღება დავუპირე და ფოტოაპარატმა მიმტყუნა, მიხვდა და მითხრა: „ჭკვიანი ყოფილა მაი, ნენა. აბა, რა გადასაღები მე ვარ?! მარა, თუ მანდამაინც სურათით უნდა გუუშვა, გვიან საღამომდე აქ ვარ.

შუადღით გავუარე. ისევ იქ, ზუსტად ისე დამხვდა, როგორც დავტოვე, კორვალოლის ფლაკონითა და თავშალით ხელში. „ამ დუდგუნა სიცხეში რამ მოგიყვანაო“, – შეწუხდა. გადავუღე და მადლობების გაცვლით დავშორდით ერთმანეთს.

P.S ქალაქის გულში, კიბის საფეხურზე ჩამოჯდომა და შემწეობის თხოვნა არამც და არამც არ არის ცხრა ათეულს მიტანებული ქალბატონი მარუსიას ახირება. იგი უფრო ტიპური მაგალითია იმისა, რომ დღევანდელი პენსია და სოციალური დახმარება საარსებოდაც არ ჰყოფნის ადამიანს, მით უფრო თუ მას ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა. სამწუხაროდ, ქალბატონ მარუსიაზე გაცილებით უარეს დღეში არიან ის მოხუცები და მარტოხელები, რომლებსაც მოუხსნეს სოციალური დახმარება და დროდადრო უგვიანებენ იმ 150 ლარს, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში პენსიას ეძახიან.

მსახიობის ქველმოქმედება

ალიონი. 1886 წლის 26 ივლისს ავტომანანით „დაიმლერ-ვიქტორია“ გადაყვანილი იქნა პირველი მგზავრი ფულადი ანაზღაურებით. ეს დღე ითვლება ტაქსისტთა საერთაშორისო დღედ. შარშან, ოზურგეთის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ეს დღე აღნიშნა.

ჯემალ კეჭაყმაძეს საზოგადოება იცნობს როგორც კარგ მსახიობს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ წევრს. მის სახელს უკავშირდება ოზურგეთში პირველი ტაძრის, კვირიკეთის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის აღდგენა. რამდენიმე თვის წინ მარათონული სვლა განახორციელა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. კვირიკეთიდან ქ. ბათუმში (60 კმ-ზე მეტი) ფეხით ჩავიდა.

ორი წელია ჯემალ კეჭაყმაძე შობას, აღდგომას და ტაქსისტთა მსოფლიო დღეს მგზავრებს უფასოდ ემსახურება.

26 ივლისს მის მგზავრებს შეადგენდნენ სოფ. ცხემლისხიდის (უჩხუბი), ქვ. ბახვის, სოფ. ოზურგეთის, სოფ. მთისპირის, სოფ. ასკანას და ქ. ოზურგეთის სხვადასხვა უბნების მაცხოვრებლები. მგზავრები მადლიერნი იყვნენ ჯემალის მომსახურებით.

ტაქსისტთა დღე ოზურგეთში

„თუ ის შეიძლება, რომ ლეკიანში სამი ძმაი ერთ ყანაში მუშაობდეს, მაშინ რატომ არ შეიძლება ერთ ტაქსზე ორი ძმაი მუშაობდეს?!“

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა მრავალი საინტერესო ღონისძიებისა თუ ტრადიციის ორგანიზატორია. მათგან ტაქსისტთა დღის აღნიშვნა ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურია. 31 ივლისს აქ 50 ვეტერანი და მოქმედი ტაქსისტი შეიკრიბა.

როგორც ბიბლიოთეკის დირექტორმა და ღონისძიების წამყვანმა ლიკა ბაქანიძემ აღნიშნა, ტაქსისტები ზოგადად ყველაზე მეტი ინფორმაციის მფლობელი და ლაღი უიმურის მატარებელი ხალხია. წლევანდელი ღონისძიებაც ამ ნიშნით გამოირჩეოდა.

რაც ყველაზე მეტად მომეწონა, ტაქსისტებმა თავიანთი თავგადასავლებისა და იუმორისათვის მას შემდეგ მოიცალეს, რაც პატივი მიაგეს აწ გარდაცვლილი კოლეგების ხსოვნას.

თავგადასავლებისა და ხუმრობების კალო კი შემდეგ დააყენეს. დიდი შეცდომა იქნება თუ ეს იუმორები ერთად არ აიკინძება, რაზეც, ალბათ, ბიბლიოთეკა იზრუნებს. ჩვენ კი ამ ღონისძიებაზე ტაქსისტთა ნაამბობიდან ორი იუმორი მოვუტანეთ მკითხველს:

— ერთ-ერთმა ოზურგეთელმა ტაქსისტმა, რომელმაც ახალთახალი „ვოლგა“ მიიღო, თავის უფროსს თხოვა, ჩემს ძმასაც ვამუშავებ ამ მანქანაზეო. უფროსმა უარი უთხრა. მალე უფროსიც და ტაქსისტიც შემთხვევით ერთად მოხვდნენ ტრანსპორტის მინისტრთან. ტაქსისტმა უფროსს გადასჩურჩულა, მოდი, მინისტრს ვთხოვ მაგ ამბავსო. უფროსმა თანხმობა მისცა, თან მალულად მინისტრს ხელით ანიშნა, უარი უთხარიო. როცა მინისტრისგან შესაბამისი პასუხი მიიღო, იქვე „დაუბრუნა ხურდა“: ბატონო მინისტრო, „თუ ის შეიძლება, რომ ლეკიანში სამი ძმაი ერთ ყანაში მუშაობდეს, მაშინ რატომ არ შეიძლება ერთ ტაქსზე ორი ძმაი მუშაობდეს?!“ მინისტრი სიცილისგან ჩაბჟირებულა.

— უფროსს ოზურგეთელი ტაქსისტისთვის უთხოვია, სურებში ადი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნახე, 5 კილო კალმახს გამოგატანსო. ტაქსისტს თავმჯდომარე კანტორაში არ დახვედრია, სხვაგან მოძებნა კი დაზარებია, ჩამოსულა ოზურგეთში, ბაზარში შეუვლია, თევზი უყიდია და უფროსისთვის მიურთმევია. ეს სტავრიდაო! - გაკვირვებია უფროსს. რავა, სურებში ვერ ევიდოდა სტავრიდა?! — მკვირცხლად უპასუხია ტაქსისტს.

სასპორტო სკოლის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

24 ივლისს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდნენ სასპორტო სკოლის ჯგუფები, აზერბაიჯანის, ლიხაურის, შრომისა და თხინვალის გუნდები, სულ 65-მდე სპორტსმენი.

თავიანთ წონით კატეგორიებში 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 32 კგ ზაირო მიქაელი, აზერბაიჯანი; 35 კგ — გიორგი თოხაძე, „სასპორტო სკოლა; 38 კგ — ბედულზადე სუბხანი, აზერბაიჯანი; 41 კგ — შოთა მუკუტაძე, სოფელი შრომა.

1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის გაჩემპიონდნენ:

42 კგ — ანზურ ხურციძე, სოფელი ლიხაური; 46 კგ — საბა მამალაძე, სასპორტო სკოლა; 54 კგ — კახა ფუტკარაძე, სოფელი შრომა; 58 კგ — გიორგი ლაბაძე, სოფელი თხინვალი; 63 კგ - ანდრეი გირჩენკო, სასპორტო სკოლა; 69 კგ — ლუკა ტატურაშვილი, სასპორტო სკოლა; 76 კგ — მამუკა ესაძე, სასპორტო სკოლა.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და მედლებით. ჩემპიონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

გიორგი სალუქვაძე ნამდვილი ერისკაცი იყო

მე არ მოვყვები გიორგი სალუქვაძის დამსახურებების და ტიტულების ჩამოთვლას, ვიტყვი მხოლოდ — გიორგი სალუქვაძე ნამდვილი ერისკაცი იყო.

ბატონი გიორგი 1967 წელს გავიცანი. მე ქ. ოზურგეთში მის მიერ გახსნილი გურული სიმღერების შემსწავლელი სკოლის პირველი მსმენელი ვიყავი. წლების მანძილზე გიორგი სალუქვაძემ არაერთი თაობა აღზარდა და აზიარა გურული სიმღერების საიდუმლოს. მისი წყალობით მრავალი ცნობილი ლოტბარი და მაღალი დონის ხელოვანი აღიზარდა.

საოცარი კაცი იყო იგი. გვასწავლიდა არა მარტო გურულ სიმღერებს, არამედ ცხოვრებას, მაღალ ზნეობას, სიკეთეს, სტუმართმოყვარეობას, ტრადიციებისადმი პატივისცემას. ამის სანიმუშო მაგალითი თვითონ ბატონი გიორგი გახლდათ. თუკი ჩემში საუკეთესო ადამიანური თვისებებია, ეს ბატონი გიორგის დამსახურებაა.

ბატონ გიორგისთან ერთად ანსამბლ „იადონის“ არაერთი წარმატების მომსწრე ვარ. ძალიან დასამახსოვრებელი იყო ჩვენი გასტროლები ბელორუსიაში და ბელორუსი მეგობრების სტუმრობა ოზურგეთში. იგი ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ასეთი ღონისძიების თითოელი ნიუანსის განსაზღვრას.

ბატონ გიორგის დიდი წვლილი მიუძღვის ინგილოური და მესხურ-ჯავახური უძველესი ცეკვების აღდგენის საქმეში, გურული ტრადიციების გაცოცხლებაში. მას დამსახურება მთელი ქვეყნის წინაშე არა მარტო ხელოვნებაში, არამედ სახალხო მეურნეობაშიც ჰქონდა. საზოგადოებამ კარგად იცის „ბჟუჟჰესის“ მშენებლობასთან და შემდეგ მის მართვაში ბატონი გიორგი დამსახურების შესახებ. იგი არა მარტო საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არამედ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული. მომგონებელი უმრავლოს და უძლიეროს.

გიორგი ნიკოლაიშვილი,
ანსამბლ „იადონის“ წევრი.

ბრძნული აზრები

XXX

„კაცი მაშინ არის ღარიბი, როცა სურვილი სჭარბობს შესაძლებლობას“. — **ჟან-ჟაკ-რუსო.**

XXX

„ეძებეთ ისეთი ადამიანები, ვისთანაც საუბარი კარგი წიგნის ტოლფასია და ეძებეთ წიგნები, რომელთა წაკითხვა უტოლდებოდეს ბრძენთან გასაუბრებას“. — **ბუასტი.**

XXX

„ბრძენი იმას უფრო ეცდება, რომ სნეულება აირიდოს, ვიდრე საშუალება ეძებოს მის მოსარჩენად“. — **მორი.**

XXX

„მეგობარი არის კაცი, რომელმაც ყველაფერი იცის შენს შესახებ და მაინც უყვარხარ“. — **ჰაგარდი.**

XXX

„მოთმინება არის უნარი, რომელიც მაშინ ამოიწურება, როდესაც ყველაზე მეტად არის საჭირო“. — **უილიამსი.**

XXX

„რაკი შესაძლებელია ყველაფერზე ყველაფერი იცოდე, ჯობია, ცოტა რამ მაინც იცოდე ყველაფერზე, ვიდრე ყველაფერი იცოდე ერთი რამის შესახებ“ — **პასკალი.**

XXX

განკურნების იმედი უკვე ნახევრად განკურნებაა“. — **ვოლტერი.**

XXX

„პატიოსნება ნაწილ-ნაწილ არ იყოფა. ის ან გაქვს, ან საერთოდ არ გაგაჩნია“. — **ბალზაკი.**

XXX

„არ არსებობს უფრო მეტი სისულელე, ვიდრე სურვილი, იყო ყველაზე ჭკვიანი“. — **ლორაფუშკო.**

XXX

„ადამიანს ისე არაფერი ამძიმებს, როგორც ცარიელი თავი“. — **სოლომონ დოდაშვილი.**

XXX

„ბრძენი ის არის, ვისაც თავისი შეცდომები ახსოვს.“ — **ავიცენა.**

XXX

ბევრი რამ უნდა ისწავლო, რათა შეიგნო, რომ ცოტა რამ იცი“. — **მონტენი.**

მოამზადა
როლანდ თავაძე

იყიდება

ტრაქტორი T-16, მუშა მდგომარეობაში. ახლავს მისაბმელი, გუთანი, კულტივატორი, ფარცხი, ზიგზაგი. ფასი შეთანხმებით.

დაგვიკავშირდით: (599) 95 57 69; (790) 95 57 69. გოჩა.

ოზურგეთის თეატრი ფოთის საერთაშორისო ფესტივალზე

წლეულს პირველად გაიმართა რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი ფოთში, სადაც არამარტო საქართველოს რეგიონების, არამედ, ევროპის ქვეყნების რეგიონული თეატრებიც მონაწილეობდნენ.

ოზურგეთის თეატრმა ფესტივალზე წარადგინა უ. შექსპირის პიესის მიხედვით ლევან ხვიჩიას რეჟისორული ნამუშევარი „აურზაური არაფრის გამო.“

სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო:

ნიკა წულუკიძე, თეატრმცოდნე: „ – ვულოცავ ოზურგეთის თეატრს კიდევ ერთი საინტერესო სპექტაკლის შემატებას რეპერტუარში, ძალიან საინტერესო ნამუშევარია. გამოვარჩევ ნუგზარ ბარამიძეს, ისეთი ახალგაზრდული შემართებით მუშაობს. ვულოცავ ყველას წარმატებას და მიხარია, რომ რეგიონული თეატრების ფესტივალში მიიღო ოზურგეთმა მონაწილეობა.

ნინელი ჭანკვეტაძე, ფესტივალის იდეის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი: „დღეს ფესტივალის მე-6 სამუშაო დღეა, გვყავს სტუმრად ოზურგეთის თეატრი თავისი არაჩვეულებრივი დასით, თავისი ძალიან დიდი ადამიანით, სამხავტრო ხელმძღვანელით, ვასო ჩიგოგიძით, რომელსაც ზურგზე აქვს მოკიდებული თეატრი და ამ ჭაპანს სწევს დასთან, კოლექტივთან ერთად.

დღეს ვიხილეთ ახალგაზრდა რეჟისორის ლევან ხვიჩიას დახვეწილი, ლამაზი სპექტაკლი,სადაც ახალგაზრდა დასთან ერთად იდგნენ ძველი თაობის წარმომადგენლები. მოხარულივარ, რომ ამ ფესტივალზე შექსპირი ამაყად ჟღერს. ეს მნიშვნელოვანია მსახიობისათვის, ეს ცალკე სკოლაა, იმის გარდა, რასაც აკეთებს თეატრი. ძალიან დიდი ამბავია, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა მოახერხა შექსპირის ასე ნიჭიერად და ლამაზად წარმოდგენა. კვლავაც ველი ამ ფესტივალზე ოზურგეთის თეატრს, ვიცი, რომ ძალიან ბევრი პრემიერა შედგა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვიცი, რა ფასი ჯდება რეგიონში პრემიერის გამოშვება. რთულია თანხის მოპოვება, ვიღაცის დაინტერესება, ჩამოყვანა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოზურგეთში ხუთ თვეში ხუთი პრემიერა შედგა.“

ვანო იანტბელიძე, მსახიობი: „მივესალმები ყველას, ძალიან მიყვარს ეს თეატრი, იმიტომ, რომ ერთი სამყარო ვართ, გვაქვს ურთიერთობები. მიტომაც არის გენიალური ეს ფესტივალი, რომ რეგიონში გაკეთებულ ყველა ახალ სპექტაკლს აქ უყრის თავს. ვულოცავ ოზურგეთს ამ არაჩვეულებრივ სპექტაკლს. ძალიან კულტურული, ძალიან დახვეწილი, სასიამოვნო სპექტაკლია. ვერ მიხვდები ეს დედაქალაქში არის თუ რეგიონში დადგმული. ვიცნობ ლევან ხვიჩიას, თელავშიც აქვს გაკეთებული სპექტაკლი. გილოცავთ, ვულოცავთ ფესტივალს, ძალიან მიყვარს ოზურგეთის თეატრი. კიდევ ბევრ წარმატებას გისურვებთ.

თამარ ბოკუჩავა, თეატრმცოდნე: „ოზურგეთის თეატრთან იშვიათად მქონდა შეხება. წარმოდგენილი სპექტაკლი არის ძალიან სასიამოვნო, კულტურული სპექტაკლი. მე ვფიქრობ, რომ თეატრში არ არის საუკეთესო პირობები. დასის მიერ ასეთი სპექტაკლის წარმოდგენა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს არ არის ადვილი პიესა. რეჟისორმა ახალგაზრდების ურთიერთობა წარმოადგინა უფრო ლაღად, თუ პიესის ჰერო არის მსხვერპლი, ოზურგეთის, ლევანის ჰერო არის გამართლებული. ლევანი შეეცადა შეერბილებინა ამ ძალიან დრამატული კომედიის ფინალი. ამაში ვხედავ ორიგინალურ მიდგომას, წარმატებას ვულოცავ ოზურგეთის თეატრს."

ლია კილაძე

გურიის რესპუბლიკა

ბახვის მანიფესტი

(დასასრული. დასაწყისი იხ. №30)

„თქვენი მოგზაურობა წერდა გენერალი მალამა სულთან კრიმ -გირეის - უკანასკნელი ცდაა მშვიდობიანი გზით მოსახლეობის დასამშვიდებლად და თუ ეს ცდაც უარყოფითი გამოდგა მაშინ მოსახლეობა დამორჩილებული იქნება ნატანებში მდგარი ჯარის საშუალებით, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს დიდი მსხვერპლის გაღება“(აბ.სურგულაძე „რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში“გვ.18) ითვალისწინებდა რა შექმნილ ვითარებას ჟურნალი „მოგზაური“ წერდა: „მთავრობას ელდა ეცა. მან დაინახა, რომ ეს ერთი მუჭა ხალხი საუკუნეობით მოპოვებულ ყალბ კრედიტს უკარგავდა მას და გადაწყვიტა გურიის მოძრაობის აღმოფხვრა:გურიაში მოძრაობის აღმოფხვრა კი გურულების აღმოფხვრას ნიშნავდა, რადგან ამ მოძრაობის იდეები ყველა გურულს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ეს კარგად ესმის ჩვენს მთავრობას და მან გაგზავნა გურიაში მთელი არმია ალიხანოვ ავარიელის მთავარსარდლობით. ჯარის გაგზავნას მოჰყვა სულთან კრიმ-გირეის გაგზავნა და ჩვენი დროის დამახასიათებელი კომედია გაითამაშა მთავრობის ვითომდა მზრუნველობა“.(ჟურნალი „მოგზაური“ 15, 24 აპრილი, 1905 წელი).

კრიმ გირეი შეუდგა გურიის ჩამოვლას. 22 თებერვლიდან 8 მარტამდე მან მოიარა ოზურგეთის მაზრის 25 სოფლის საზოგადოებიდან 12 საზოგადოება. „იგი პირველად შემოქმედს ეწვია, შემდეგ ბახვსა და ასკანას. მოინახულა აღმოსავლეთ გურიის სოფლებიც: ხიდისთავი, ბასილეთი, ჯვარცმა ,ერკეთი“ (ი. სიხარულიძე“პირველი რევოლუციის დღეები“) .იგი ესწრებოდა ცალკე საზოგადოების (სამამასახლისოების) სახალხო მიტინგებს, რომლებიც ჩვეულებრივ იმართებოდა კანცელარიასთან ან სკოლის ეზოში. კომიტეტის თაოსნობით ყველაფერი წინდაწინვე იყო მომზადებული. კრიმ-გირეის მოსვლამდე საზოგადოება მართავდა დიდ მიტინგებს, სადაც მოხსენებით გამოდიოდა კომიტეტის რწმუნებული, რომელიც ფართოდ აშუქებდა კრიმ-გირეის ჩამოსვლის მიზეზებს. ხალხი წინდაწინვე ირჩევდა მასთან მოსალაპარაკებლად დელეგაციას, რომელშიც უსათუოდ შედიოდა ერთი პასუხისმგებელი პროპაგანდისტიც. კრიმ-გირეი პირველად მიესალმებოდა ხალხს დაზეპირებული ქართული სიტყვებით: გამარჯობათ გურიის შვილებო, იგი მიიღებდა მხიარულ სახეს, ხოლო მისი თარჯიმანი კი წაიკითხავდა კრიმ-გირეის მიმართვის ბარათს ხალხისადმი: „მოგესალმებით გურიის შვილნო, და სიამოვნებით ავღნიშნავ, რომ თქვენს შორის რუსული ენის მცოდნენის არიან, მაგრამ მსურს რომ ჩემი სიტყვები გაიგონოთ თქვენს დედაენაზე, რომლებიც თქვენთვის გასაგებია... მე მეტად მიხარია, რომ მომეცა შემთხვევა, რომ მოვსულიყავი მშვენიერ გურიაში და ახლო გამეცნო გურულები და ბედნიერი ვიქნები თუ ჩემი მოსვლა მოგიტანთ თქვენ მშვიდობას და დაწყნარებას.

„გურია აღნიშნავდა კრიმ-გირეია ამ მოთხოვნების საპასუხოდ (მას ყველგან რევოლუციური მოთხოვნები წაუყენეს), 22 თებერვალს სოფელ შემოქმედის გლეხობასთან გამართულ საუბარში აღნიშნავდა: მძიმე მდგომარეობაშია ,ბევრ რამეს უნდა გაკეთება,მაგრამ იქონიეთ მოთმინება, რაც გურიაში მოხდა შეიძლება ახსნილი იქნას, მაგრამ მისი გამართლება არ შეიძლება.... გთხოვთ გაითვალისწინოთ ის უბედური შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მთავრობისა და მისი კანონების წინაშე გალაშქრებას. მთავარმართებლის მიერ ჩემი აქ გამოგზავნა უკანასკნელი ცდაა მშვიდობიანად მოელოს ბოლო სამწუხარო ამბებს, რასაც ადგილი აქვს გურიაში.“(გაზ. „ცნობის ფურცელი“ , 1905წ.) სულთან კრიმ-გირეის მოთავფლულ სიტყვებს და ფარულ მუქარას სოფელ შემოქმედის გლეხებმა გადაჭრით უპასუხეს: „ჩვენ ადამიანური უფლებისათვის მთავრობის ძალებთან შიშს გადავეჩვიეთ. ჩვენ ძველებურად ცხოვრება არ შეგვიძლია ,გლეხობის დღევანდელი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს..... დროა გლეხები განთავისუფლდნენ მონური მდგომარეობიდა“ (გაზ„ცნობის ფურცელი“ 2736, 1905 წ.)

გურიაში 100 სოფელი იყო,რომელიც 25 საზოგადოებაში იყო გაერთიანებული. კრიმ-გირეიმ 12 საზოგადოების გლეხობას შეხვდა .23 თებერვალს ბახვში 500 გლეხი შეიკრიბა .მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები იმდენად გაბედული, დამაჯერებელი იყო კრიმ გირეის გაუჭირდა პასუხის გაცემა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. „თქვენ, გურულები-ლამაზი ბუნების წიაღში ,რომ ცხოვრობთ, ამიტომ ხართ ასეთი გონება გახსნილიო“-კი ბატონო-მჟავე ტყემალი ნამდვილად უხსის გონებას ადამიანსო“-იყო ლაკონური პასუხი. (ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.)

გლეხობამ თავისი მოთხოვნები ჩამოაყალიბა სპეციალურ მანიფესტში, რომელსაც შემდეგ „ბახვის მანიფესტი“ ეწოდა. ბახვის მანიფესტი ერთერთი ცნობილი დოკუმენტია მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიიდან, ,ბახვის მანიფესტში ნათქვამია: „ჩვენი მოთხოვნები არ არის კიმო ქართველთა მოთხოვნები,ამას მოითხოვს მთელი რუსეთი, ჩვენ უერთდებით ჩვენ რუს ძმებს.“ – „ბახვის მანიფესტი“ შედგებოდა შემდეგი პუნქტებისაგან:

1.ყველა საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა გლეხობისათვის უსუსყიდლოდ;

2.სანადელო მიწების გადაცემა გლეხობისათვის უსასყიდლოდ. სანადელო მიწებისათვის გადახდილი ფულის დაბრუნება გლეხობისათვის;

3. გლეხთა კომიტეტების დაარსება სოფლად;

4.ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება და პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დაწესება. ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლება იმ გლეხებისა,რომელთა შემოსავალი არ აღემატება 500 მანეთს;

5.წოდებათა გაუქმება;

6.სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლება;

7.სახალხო სასამართლოს დაწესება;

8. მუდმივი ჯარის გაუქმება და სახალხო მილიციის შემოღება;

9.დრამის ფულის გაუქმება;

10.საყოველთაო სწავლების შემოღება ორივე სქესისათვის 16-წლამდე;

11.სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღება;

12.პიროვნების ხელშეუხებლობა;

13.დახურული სამკითხველოების დაუყონებლივ გახსნა;

14.პოლიტიკური გათავისუფლება;

15.სლავთა რჯულის სწავლების გაუქმება.

გურული გლეხობის ამ ზოგადსაკაცობრიო სოლიდარულმა იდებმა დიდად აღაფრთოვანა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. 1905 წლის 15 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ტოლსტოი აღნიშნავდა: „რასაც მე ოცი წლის განმავლობაში ვქადაგებდი, იმას ახლა გურული გლეხები ასახიერებენო“ („ივერია“, 54, 15 აპრილი, 1905 წელი) .გაზეთი „პერიოდი“ 1905 წლის 12 აპრილის ნომერში წერდა: „გურიის გლეხთა ავჯანყება იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში, ეს ჩვეულებრივი გლეხთა ავჯანყება კი არ არის, არამდ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მთლიანად ეხმაურება მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“(გაზეთი „ვპერიოდი“ 14, 1905 წელი)

გურულმა გლეხობამ მათი სოციალური, ეკონამიკური ჩაგვრის საფუძველზე წარმოქმნილი ცხოვრებისეული მოთხოვნები მთავრობის წარმომადგენლებთან კრიმ გირეისთან შეხვედრასა და საუბრებში, მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ასკანელმა გლეხებმა: „რომ დავწვები თავი სხვის მამულში მაქვს და ფეხები სხვისშიო“ აღნიშნავდა კრიმ გირეისთან საუბარში ასკანელი გლეხი მიხეილ ჭეიშვილი (ჟურნალი „მოგზაური“ 33, 17 მარტი,1905 წელი) უნდა ითქვას რომ მოლაპარაკებებმა მთავრობის მართველობასა და მეამბოხეებს შორის შედეგი არ გამიღო, მთავრობას არ სურდა გლეხობის მოთხოვნების შესრულება. „კრიმ-გირეის მისიის მარცხი ნათქვამია წიგნში- „ სოციალიზმი ქართულ ერებში“- გლეხების რადიკალურმა მოთხოვნება განაპირობა, როგორც თვითონ აღნიშნა ,გურულ გლეხებს საფრანგეთის კონსტიტუციაც კი ვერ დაკმაყოფილებდაო. მიუხედავად ამისა გურიიდან დაბრუნების შემდეგ 9 მარტს კრიმ-გირეიმ წინადადება დააყენა ოთხი რეფორმა გატარებულიყო, კერძოდ, ადგილობრივი არჩევნების შემოღება დანიშვნების მაგიერ, მთავრობის მიერ დახურული ბიბლიოთეკების აღდგენა; ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა დაბრუნება და ჯარის გაყვანა . ვორონცოვ-დაშკოვმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეასრულა პირველი ორი წინადადება და ქუთაისის ციხეებიდან გაათავისუფლა ადმინისტრაციული ბრძანებით დაპატიმრებული პატიმარი“(სტივენ ფეჯონსი„“სოციალიზმი ქართულ ფერებში“ სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917 “, **თბ/2007წ. გვ**/188) .

9 მარტს კრიმ გირეი გურიიდან გაიწვიეს. მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და გაგზავნა 10 000 კაციანი სადამსჯელო რაზმი გენრალ ალიხანოვ-ავარსკის ხელმძღვანელობით.

მანანა ლომაძე,
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
ფონდების მთავარი მცველი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

ტომას ჰანტ მორგანი (1866-1945). 1908 წელს მორგანმა დაიწყო ექსპერიმენტები ხილის მწერებზე. 1911 წელს ქრომოსომების პირველი რუკა მოამზადა. 1915 წელს გამოაქვეყნა „მენდელისეული მემკვიდრეობის მექანიზმი“. 1923 წელს გამოსცა „გენების თეორია“.

ქრომოსომები (ძაფისებრი სხეულები რომლებიც არსებობენ უჯრედის ბირთვში, იზდებიან და იყოფიან უჯრედის გაყოფისას) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შთამომავლობაში. ცოცხალ ორგანიზმებში არსებობდა ბევრად ნაკლები ქრომოსომა, ვიდრე „მემკვიდრეობით ერთეულებში“ (1909 წელს დაერქვა „გენები“ დანიელი მეცნიერის ვილჰელმ იოჰანსენის მიერ).

მორგანისათვის ეს ნიშნავდა, რომ თითოეულ ქრომოსამაში არსებობენ გენთა ჯგუფები, მომავალი გენეტიკოსებისათვის განავითარა მიკროსკოპული მეცნიერებები, რამაც გააძლიერა ჩარლზ დარვინის დასკვნები.

1933 წელს მორგანმა მიიღო ნობელის პრემია ფიზიოლოგიაში.

მარია კიური (1867-1934). მარია კიური დაიბადა პოლონეთში. ფიზიკის ცოდნის მისაღებად გადავიდა პარიზში. ამ დონის ცოდნის მიღება მის ქვეყანაში ქალებისათვის შეუძლებელი იყო. სწავლის დასრულების შემდეგ მან იქვე სორბონაში გაიცნო მისი მომავალი მეუღლე პიერ კიური (1859-1906) იგი ავტორიტეტული ფიზიკოსი იყო და არ არის გასაკვირი, რომ 1985 წლიდან, ქორწინებიდან სულ მალე ორივემ ერთად დაიწყო მუშაობა.

ადრე ანრი ბეკერელმა (1852-1908) აღმოაჩინა რადიაქტიურობა ურანისა. კიურის კი სურდა გაერკვია სხვა რადიაქტივობის შემცვლელი ელემენტების არსებობა და აღმოაჩინა თორიუმი. მან საბოლოოდ დაამტკიცა რომ რადიაქტიურობა ელემენტის ატომის დამახასიათებელი თვისება იყო.

კიურის შემდგომ მიღწევებს წარმოადგენდა 1898 წელს ორი ახალი ელემენტის აღმოჩენა, რომლებსაც დაარქვა პოლონიუმი და რადიუმი, ორივე მაღალი რადიაქტიურობის შემცველი, განსაკუთრებით რადიუმი. მან ეს ელემენტები მაშინ იპოვა, როდესაც მიხვდა რომ ურანის მინერალი უფრო მეტად რადიაციულია, ვიდრე სუფთა ურანი. აქედან სწორად დაასკვნა, რომ მინერალი შეიცავდა რადიაქტივობის ფარულ ელემენტებს. ამ აღმოჩენის შემდეგ კიური ცდილობდა ახალი ნივთიერებები დიდი რაოდენობით მოეპოვებინა, რათა მათი შემადგენლობა გაერკვია. სამწუხაროდ რადიუმის შემცველობა ძალზედ მცირე იყო ურანის მინერალში, რაც ნიშნავდა რომ მას და მის მეუღლეს უნდა დაემუშავებინათ ტონობით მასალა რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ რადიუმის მეათედ გრამს მოიპოვებდნენ. 1902 წლისთვის მათ საბოლოოდ შეძლეს გამოეთვალათ ახალი ელემენტის ატომის წონა და მისი თვისებები.

მარია კიური ქმრის გარდაცვალების შემდეგ სორბონაში ფიზიკის პროფესორის თანამდებობაზე აირჩიეს, მისი მეუღლის პოსტზე, ამგვარად ის გახდა უნივერსიტეტის პირველი ქალი პროფესორი. ამ პოზიციაზე მეცნიერის მიღწევად ითვალა 1912 წელს რადიაქტიურობის შესწავლის კვლევით ლაბორატორიის დაარსება. 1921 წელს აშშ-მ ლაბორატორიას მცირე ზომის, მაგრამ მეცნიერულად ღირებული საჩუქარი გადასცა იშვიათი რადიუმი 1 გრამი, რამაც ცენტრს ნაყოფიერი მუშაობის საშუალება მისცა და ფიზიკაში შეტანილი წვლილის გამო მსოფლიოში ცნობილი გახდა. მარია კიურიმ ნობელის პრემია ორჯერ მიიღო. პირველი მეუღლესთან (პიერთან) ერთად 1903 წელს, ხოლო მეორე 1911 წელს დამოუკიდებლად (პოლონიუმისა და რადიუმის აღმოჩენისათვის, ასევე შრომებისათვის ქიმიაში“.

სამწუხაროდ მარია კიური საბოლოოდ ლეიკემიით გარდაიცვალა, რაც გამოწვეული იყო დიდი ხნის განმავლობაში რადიაქტიური ნივთიერებთან მუშაობით. იმ დროისათვის რადიაციის რისკი არ იყო დადგენილი და არავითარ სიფრთხილის ზომებს არ მიმართავდნენ.

დღესა კი მის იმდროინდელ ჩანაწერებთან შეხება ძალიან საზიფათოა.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — თენგიზ არჩვაძე; არასწორი, მოხრილი — მრუდე; კვირა ძველქართულად — მზისა; ფულის ერთეული ავღანეთში — ავღანი; სოფელი ადიგენის რაიონში — უდე; მოკლე კაბა — მინი; ევას მეუღლე — ადამი; ბილიარდის ჯოხი — კი; უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტი — ჭარი; თავდაცვითი სვლა ჭადრაკში — როქი; პატარა კაცი — ჩია; ვულკანი იტალიაში — ვეზუვი; მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში — გაფრინდაშვილი; ბიზნესმენი ... ცეცხლაძე — კოკი; უფალი ჩვენი — იესო; ღრძილების ანთება — გინგივიტი; მემარცხენე — ცაცია; მდინარე — იორდანე; დაშვებული რაოდენობა — ლიმიტი; დოქი — სურა; დასაკეცი დანა — ცილვი; სინანულის მოკლედ გამოხატვა — ახ; მწვერვალი სვანეთში — თეთნულდი; გერმანელი მეზღაპრე — გრიმი; მდინარე რუსეთში — დონი; სესხში დაგირავებული გემი — ბოდმერეა; მგალობელი ფრინველი — იადონი; ქალის სახელი — ანანო; ტაილანდის დედაქალაქი — ბანგკოკი; პურის მოსავლის აღება — მკა; ქალაქი რაჭაში — ონი; სურათების გამოსაფენი — გალერეა; ცხვრის შობადობის პერიოდი — დოლი; მსოფლიოს №1 ფეხბურთელი — მესი; ტექნიკური კულტურა — აკაკი; კინორეჟისორ დ. ცაგარეიშვილი ფსევდონიმი — რონდელი; სარდალი — სპასპეტი. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ქვეყანა — ისლანდია.

ეპოქა ფირალთა ზეობისა

ენვერ გოგუაძე

მხარის სოციალურ ეკონომიკური და კულტურული საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

II ნაწილი

გრიგოლ გურიელი



თედო სახოკია

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ცნობილი ეთნოგრაფიისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას გურიაში მოგზაურობის ჟამს გარკვეული ცვლილებები აღინიშნება გურიის სოციალ-ეკონომიკურ ყოფაში, მის ადმინისტრაციულ მმართველობაში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ დროისათვის ოზურგეთის მაზრა მოიცავს 1980,165 კვ. კმ-ს. მხარის მოსახლეობა შეადგენს 88.-760 სულს. ეთნიკური წარმომავლობით, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ყველა მათგანი ჩაქუროსანი გურულია.

ერთ კვადრატულ კილომეტრზე სახლობს 43.8 კაცი.

მხარე დაყოფილია 26 სოფლის საზოგადოებად. მასში გაერთიანებულია 100 სოფელი.

მხარის საზღვრები თითქმის „ძველებურია“: სამხრეთით - მდინარე ჩოლოქი და აჭარა გურიის ქედი; დასავლეთით - შავი ზღვა; ჩრდილოეთით - რიონი, რომელიც სამეგრელოდან ჰყოფს გურიას; აღმოსავლეთით - ნიგოეთის ქედი, აჭარა-გურიის ქედიდან გამომავალი, რომელიც იმერეთიდან გამოჰყოფს გურიას.

ძმები გურიელები

გურიის აზნაურთა რაოდენობა შესამჩნევად შემცირებულია.

ოზურგეთში - გურიის ძველ სატახტოში გურიის მთავართა ნაშიერები „გამქრალან“, მათგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოთვლა თუ შეიძლება:

ქაიხოსრო მალაქიას ძის მემკვიდრენი: ეკატერინე და მარიამი თავად გუგუნავაზე გათხოვილი;

კონსტანტინე მალაქიას ძე გურიელი და მისი ორი ასული, ელენე და ნინო;

ესე გიორგის ძე გურიელის ძენი: ლევანი, გიორგი, ვლადიმერი (ტუტულია).

აქა-იქ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კიდევ სახლობენ „ქვეყნის დამქცევი კლასობრივი მტრები“.

დიდი ქველმოქმედი გრიგოლ გურიელი.

სულითა და გულით დიდბუნებოვნად დაბადებული მამია გურიელი და მისი ძმები: ვახტანგ, ტელემაკ, ჯაბა, გურიელები.

მათი მამა - დათა გურიელი.

მათი დღეები დათვლილია: ფირალებს გადაურჩნენ, „ახალი თაობის“ მაუზერისტებთან ბრძოლა გაუძნელდათ. გურიის კომიტეტი მათ ამოსაგდებად განემზადა.

90-იანი წლების, „თედო სახოკიასდროინდელი გურია“ უხვი და ბარაქიანი. ქვეყნის წამყვან კულტურას — „გურულის მარჩენალს“ სიმინდი წარმოადგენს.

ისევ პატივცემულ მოგზაურს მოვუსმინოთ: „თუ საზოგადოდ საქართველოს შესახებ ითქმის - მეურნეობის დედაა, ამ სახელის ღირსია კერძოდ მისი ერთი საუკეთესო ნაწილი - გურია. ყველაფრით არის შემკული ეს მხარე: ნაყოფიერი ნიადაგით, უხვი მცენარეულობით, ზომიერი ჰავით. ყველა ეს ისეთი პირობებია, რომ მეურნე თავისი შრომისათვის ერთი ასად ჯილდოვდება. მხოლოდ ეს ბუნებრივი სიმდიდრე შემმუშავებელს მოელის, შეგნებულ მუშაკს, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბუნებისგან მუქთად მოწვდილ სიუხვეს“.

ჯერ კიდევ 1848 წელს გაზ. „კავკაზი“ წერდა: „ძალიან ძნელია ისეთი მცენარის დასახელება, რომელიც არ შეიძლება მოშენებულ იქნეს საქართველოს ამ პატარა კუთხეში. ჩაი, ციტრუსები, სხვა სუბტროპიკული თუ დეკორატიული მცენარეები, ვაზი, ზეთისხილი, ბროწეული, ყოველგვარი ყვავილი, ბზა, კედარი, ფიჭვი, ნაძვი, ურთხმელა და სხვ.

საუცხოოდ შეზავებული ზომიერი ჰავა, მშვენიერი მზის უხვი სითბო, და სინათლე, მოკლე და ნაზი ზამთარი, თიხნარი - ქვიშნარი თუ ეწერი მიწები. შიგადაშიგ ნიადაგში წვრილი კაჟნარია, რიყის და კირის ნარევი, ალაგების სხვადასხვანაირი მდებარეობა - ვაკეები, და ფერდობები, გორაკები, მთები მაღალი მწვერვალებით, უხვი მდინარეები, ღელეები, წყაროები, ზღვა — აი, უმთავრესად საქართველოს ამ ძვირფასი კუთხის ბუნებრივი პირობები, რომლის მიზეზითაც ხარობს ამ მხარეში, ცხელი ქვეყნის ძვირფას მცენარეებთან ერთად, მთის და ცივი ქვეყნის მცენარეულობაც.

აქვე აღსანიშნავია: გურიაში ჩაის კულტურის გავრცელების წინააღმდეგ კატეგორიული უარით გამოვიდა ხელმწიფე- იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. იმპერატორს მოახსენეს: „საქართველოში, ბათუმის ახლოს, სოფელ ჩაქვში აღმოჩნდა ისეთი მიწა, რომელზედაც შესაძლებელია ჩაის გაშენება, საუკეთესო ხარისხის მოსავლის მოწევა. იმპერატორს ეს მოხსენება წაუკითხავს და ისე, რომ დიდხანს არც დაფიქრებულა, ზედ სასწრაფოდ წაუწერია:

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩაი მოითხოვს კოლონიალურ შრომას და მე არ ვინდომებდი გადაგვარებულიყო ისეთი მშვენიერი ნაცია, როგორიც ქართველებია“.

გურიის ბუნების მრავალფეროვნებით, განსაკუთრებული სილამაზითა და მისი ნიადაგების ნოყიერებით განცვიფრებული დიმიტრი ბაქრაძე წერს:

„გურიის ბუნება იმერეთისაზე უფრო ლამაზი და მდიდარი მეჩვენა. დინარეები, რომლებზედაც ჩემი გზა გადიოდა, მთისაა და ამიტომ ანკარა და ბროლივით გამჭირვალეა. აქ თიხიანი ნიადაგი ჭარბობს და მაინც ძალზე ნაყოფიერია. ამ დღეს, 1 აგვისტოს პირველად ვნახე მაღალი ჯიშის სიმინდი, რომელიც სექტემბერში ზრდას რომ დაამთავრებს, საჟენ ნახევარი სიმაღლისაა.

სიმინდი მრავალი სახეობისა იყო. მოსავლიანობითა და ხარისხით ყველა სახეობას ზემოხსენებული „საჟენნახევრიანი“ სიმაღლის სიმინდი სჯობდა. იგი 1856 წელს შემოიტანეს ამერიკიდან. მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებოდა „ოთხ კოტას“ (ტაროს) იკეთებდა. მისი წყალობით გურული გლეხის სასიმინდე („ნალიე“) მუდამ პირთამდე იყო სავსე.

ნატანებიდან ოზურგეთში მომავალი თედო სახოკია წერს: „გზაში სიცხისაგან დატანჯულებს ტყის სიგრილემ შვება მოგვცა. ჯერ წვიმას ეპირებოდა, მაგრამ თანდათან ღრუბლებმაც გადაიყარა და მთვარემ კეკლუცად შემოგვაშუქა დაცვერცხლილი სხივები. გარშემო სრული სიჩუმე იყო გამეფებული. ამ საოცნებო მყუდროებას ჩვენი ეტლის ხმაღა არღვევდა. ხან ქარავანი შემოგვხვდებოდა სიმინდით დატვირთული ურმებისა, რომლებიც შეკვეთილში მიედინებოდა.

„სოფლები არ ჩანს. მთელი 10-12 კილომეტრის მანძილს ისე გაივლის კაცი, ორ-სამგან თუ შეხვდება გზის პირად გადმომდგარ სახლებს. უმეტესი ნაწილი გზის იქით-აქეთ მდებარე ადგილებსა, ან დაბურულ ტყეს უჭირავს, სადაც წიფელი ყველა სხვა ხეს სჭარბობს, ანდა, სადაც ტყე გაკაფულია, მთელი ზღვაა სიმინდის ყანებისა, წყალი ყველგან უხვადაა, ან უკეთ, ჭარბადაცაა. გვალვა ამ ადგილას ჭირნახულს წარბსაც ვერ შეახრევინებს, ის კი არა, უფრო რგებს კიდეცა, მოჭარბებულ სინესტეს აშორებს“.

მოგზაური განაგრძობს: „დაიძრა ეტლი, გზა ისევ დაბურულ ტყეზე მიდის. ტყეს სიმინდის ყანები მისდევს. ყანებს ისევ ტყე და ასე მიდის მთელი გზა, ირგვლივ სულ ტყეა და ყანა.

1896 წლის ოზურგეთის მაზრაში მოწეულ იქნა 2 მილიონ 832900 ფუთი სიმინდი.

გლეხის კალო უმთავრეს შემთხვევაში 300-400-გოდრიანი იყო. გოდორში 20 კილოგრამზე მეტი ჩადიოდა. აქედან „ხარკად“ იჯარით აღებულ მიწაზე „ქვეყნის მყლაპავი მემამულისათვის“ 14 გოდორი სიმინდი უნდა მიეცა. ეს იყო და ეს. უკეთეს დროჟამს ალბათ კაცი ვერ ინატრებდა“.

„რევოლუციური პათოსით გულანთებულ ყოფილ ტერორისტებს, წითელრაზმელებსა და მათ „ხელის შემწყობთ“ ხშირად თავიანთი ავტობიოგრაფიის თხრობისას ერთგვარი ლაფსუსი მოსდით და გარკვეულწილად „მხედველობიდან რჩებათ“ იმდროინდელი გურული გლეხის ეკონომიკური ყოფა, თუნდაც იგი ტერორისტთა მეკავშირე ყოფილიყოს.

იოსებ ნიკოლოზის ძე დარჩია მოგვითხრობს: „ღარიბი გლეხის ოჯახში ვარ დაბადებული, 1885 წელს. იმ დროში მიწა გურიელების და თავადაზნაურების ხელში იყო. მიწას ვამუშავებდით სანახევროდ. ნახევარ მოსავალს ვიტოვებდით ჩვენ, ნახევარს ვაძლევდით მათ.

1900 წელს გაფიცვები მოხდა. ელისო დარჩიამ სუფსაში სახლიდან წაიღო ქალის კაბა, ჩააცვა სტუდენტ კაცს, თავი შეუხვია, ვითომ ავადმყოფი იყო, ცხენზე შეაჯინა და მოიყვანა სილაურში (დაიწყო აგიტაცია). დიდი ცხემლის ძირში ხატი მოასვენეს ღამე. ხატთან ხალხმა ერთმანეთს შეჰფიცა, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ. მაშინდელ დროში ღმერთი და ხატი სწამდა ხალხს.

გაფიცვის მიზეზი იყო მიწის არქონება და ხელმწიფის ძირს ჩამოგდება (სილაურის თემის ცხემლის ძირში გამართული სახალხო კრების დადგენილებით).

ხალხმა დააყენა საკითხი: „მიწა მოგვცეს სამეათედოდ — ათ ფუთზე ერთი ფუთი წაიღოს მემამულემ (გავიფიცეთ): მიწები დაუთესელი დარჩა.

1902 წელში წავედი სუფსაში, ტყეში სამუშაოდ. ღამეს ვათევდი ქრისტიფორე ჯიჯიეშვილის კარავში. მან მითხრა: „შენ ნამუსი შემინახეო“. თვითონ იყო ასისთავი (დევნიდნენ), „თუ დამიჭირონ არ გამამხილოო“.

ქრისტეფორეს ოთხასფუთიან ნალიაში დამალული ჰქონდა იარაღები, ამარაგებდა ტერორისტებს: სამსონ მიქაბერიძეს, ისილო კუტალაშვილს, ნიკოლოზ კუპრაძეს, იასონ მოისწრაფიშვილსა და ბესარიონ ჯაშს.

საინტერესოა: სუფსის უბნის საიდუმლო ორგანიზაციის ასისთავს, ქრისტეფორე ჯიჯიეშვილს, კაცისმკვლელთა უსტაბაშს გააჩნია „ოთხასფუთიანი ნალია“, რითაც ცხადი ხდება, რომ „გურიელთა მოსაკვდინებლად ტყეში გაჭრილი ქრისტეფორე“, სიმინდის სანახევროდ გადახდის კვალობაზე, 800 ფუთ ჭადს იწვევდა წელიწადში, „მეათედის“ გადახდის შემდეგ კი, მისი კუთვნილი მოსავალი, 720 ფუთით უნდა განსაზღვრულიყო. უჭირდა ვითომ ასისთავ ქრისტოფორეს, 400 ფუთი სიმინდის პატრონს ტყეში გაჭრილი ტერორისტებით „ნიკოლოზას ტახტიდან ჩამოგდებას“ რომ ესწრაფვოდა და ამის გამო ყანების დათესვას უკრძალავდა გლეხობას.

<u>გახსენება</u>

„ცაში ლამაზი სული გაგექცა...“



ოთხი აგვისტო შენი დაბადების დღეა, კახა. ორმოცდახუთი წლისამ ნაადრევად შეწყვიტე სიცოცხლე და საუკუნო განსასვენებელს მიაშურე. მშობლებისა და შენი ორი შვილისათვის ტკივილიანია ეს დღე და ასე დარჩება ბოლომდე, მუდამ ტკივილიანი ოთხი აგვისტო. და მაინც, აქედან გეხმიანებით, გესიყვარულებით, მოგონებებში ვიძირებით.

თითქოს შენი ხმაც მოდის ჩვენამდე: „ო, მაპატიეთ, გთხოვთ, მაპატიოთ დანაშაული არდაბრუნების“.

იძინე მშვიდად: რა დასანანია, რომ ნაადრევად გაიარე ამქვეყნიური ცხოვრების გზა.

შენი **ოჯახი, მშობლები, ბაბუ და ნანი.**

ოზურგეთი თელაველ მხატვრებს მასპინძლობს

ნუგზარ ასათიანი

სექტემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს თელაველი მხატვრების გამოფენა, რომელიც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში 28 ივლისს გაიხსნა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეა ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალაქებში გაცვლით გამოფენებს გულისხმობს. ოზურგეთელ მხატვრებს გამოფენები ჰქონდათ თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში... ოზურგეთსაც სტუმრობდნენ თბილისელი, ბათუმელი, ქუთაისელი მხატვრები...

თელაველ მხატვრებს პირველად მასპინძლობს ოზურგეთი. წარმოდგენილია ბეჟან ბოტკოველის და ზურაბ გიკაშვილის ფერწერული და ზაქარია ფიცხელაურის გრაფიკული ნამუშევრები.

გამოფენის გახსნაზე ოზურგეთელებმა იხილეს ახალი ხედები, განსხვავებული ფერები და საქართველოს უძველესი კუთხიდან ჩამოტანილი სითბო და სიყვარული.

ბეჟან ბოტკოველის ფერწერულ ნამუშევრებში მნახველთა განსაკუთრებული მოწონება იმსახურებს : „ჯვრის მონასტერი," „სიღნაღი,"„ძველი თბილისი," „თუშეთი," „უშგული," (ტილო, ზეთი); „ნაკადული," (მუყაო, ზეთი); ზაქარია ფიცხელაურის „განჯალების წყარო," „ალავერდის აივანი," „მთაწმინდა," (ქაღალდი, ტუში); ზურაბ გავაშელაშვილის „პეიზაჟი," „თელავის ბაღი," და ა.შ.

გახსნის ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე, სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეის დირექტორი ავთანდილ თავართქილაძე, გურიის გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი, ქ. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ვასილ ჩიგოგიძე, მხატვარი ბეჟან ბოტკოველი.

გამოფენის გახსნის ცერემონიალის დასრულების შემდეგ ბეჟან ბოტკოველმა გაზეთ „ალიონთან" განაცხადა:– ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი გაცვლითი ღონისძიებანი. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ოზურგეთი გვმასპინძლობს. მე და ავთანდილ თავართქილაძე სამხატვრო აკადემიაში ერთ პერიოდში ვწავლობდით. ვიცი, არაერთი ოზურგეთელი ხელოვანი, რომელთაც წარმატებული გამოფენები ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. იმედი მაქვს, საპასუხო გამოფენა თელავში შემოდგომაზე გაიმართება.

მილოცვა

ადამიანის დაბადება უფლის დიდი საჩუქარია, ხოლო დაბადების დღე –დღესასწაული ადამიანის ცხოვრებაში.

31 ივლისი, ავთანდილ ჩხიკვიშვილის დაბადების დღეა. სამკურნალო-საკონსულტაციო ცენტრის კოლექტივი დიდი მონიწებითა და სიხარულით უღოცავს ბატონ ავთოს დიდ დღესასწაულს. ეს უპრეტენზიო ადამიანი დააბიჯებს ჩვენს შორის და სანდომიანი სახითა და თბილი, ჯეთილი თვალებით ცდილობს უხმაურო აჯეთოს საქმე, ჰათა მეტ ადამიანს მოგვარჩოს შვება. ცდილობს გაითავისოს სხვისი ტკივილი, მოუნახოს წამალი და საღბუნად დაედოს.

ბატონო ავთო! უფალი გფარავდეს, მისი მადლით ოჯახთან ერთად არ მოგაკლდეთ სიხარული, ბედნიერება, ჰათა თვენი ცხოვრების გზის მანათობელი შუქჩა იყოს ნარმატება და იმედის ასრულება.

სამკურნალო-საკონსულტაციო ცენტრ „ძლევაის" კოლექტივი.

სანადირო თოფების სისტემები

ტიპებისა და სისტემების მიხედვით თოფები ბევრნაირია. მათ განასხვავებენ შემდეგი ნიშნებით: გამოყენებული ჭურვის მიხედვით; ლულების რაოდენობის მიხედვით; გადატენვის საშუალებათა მიხედვით; გასასროლად გამზადებული ვაზნების რაოდენობის მიხედვით; დამცემი სისტემის მიხედვით; დანიშნულების მიხედვით.

ჭურვის მიხედვით თოფები იყოფა საფანტიან (გლუვლულიან), ტყვიის (კუთხვილლულიან) და კომბინირებულ (ტყვია-საფანტიან) თოფებად.

გლუვლულიანი თოფების ოპტიმალური სასროლი მანძილი 30-40 მეტრია (სპეციალური ტყვიით 50-60 მეტრი).

კუთხვილლულიან თოფებს ლულაში აქვთ ხრახნი. ასეთი თოფებით საფანტს არ ისვრიან.

შტუცერები ეწოდებათ ორლულა ხრახნილლულიან (კუთხვილლულიან) თოფებს, რომლებიც გამოიყენებენ საშუალო და მაღალმუხტიან ვაზნებს. სახელწოდება წარმოდგება გერმანული სიტყვისაგან **Stutzen**. გარდა ამისა გერმანულში სიტყვათა სინქრონი **Berg-stutzen** ნიშნავს "სამთო შტუცერს". ევროპაში ორლულიან ხრახნილებს უწოდებენ "ორმაგ კარაბინებს" ან "ორმაგ ექსპრესებს".

შტუცერი ესაა სპეციალური, რომელიც განკუთვნილია დიდ, ხშირად საშიშ ცხოველზე სანადიროდ. შტუცერის ძირითადი პლიუსი იმაში დევს, რომ მეორე გასროლა შესაძლებელია ვაწარმოოთ იარაღის მხრიდან ჩამოუღებლად(შესაბამისად უფრო ჩქარა ვიდრე კარაბინიდან). იარაღის ჩამოღებასა და გადატენვაზე საშუალოდ იხარჯება 2-3 წამი, რაც ზოგჯერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!!!

უმეტესად შტუცერები სახაზინო გადატენვისაა.

აღსანიშნავია, რომ თვითდამტენი კარაბინის შემთხვევაშიც შესაძლებელია მხრიდან ჩამოულებლად მეორე(და შემდგომი) გასროლების წარმოება, თუმცა პროფესიონალი მონადირეები ვერ ენდობიან მათ ბოლომდე, ამასთან თვითდამტენი კარაბინის ლულა ყოველი შემდგომი გასროლისას უფრო და უფრო მეტად თბება, რაც უარყოფითად აისახება ბალისტიკაზე.

შტუცერების უკუცემა იმდენად დიდია, რომ დაწოლილ პოზიციაში სროლისას არის შემთხვევები, როცა მონადირემ მხრის მოტეხილობაც კი მიიღო.

შტუცერების ცალსახა უარყოფითი მხარეა მათი სიძვირე. ისინი 2-3-ჯერ უფრო მეტი ღირს, ვიდრე იმავე კლასის გლუვლულიანი ან კარაბინი. ფასი განპირობებულია ლულის მასალის, დამზადების სირთულისა და გამლიერებული საკეტი სისტემის მაღალი თვითღირებულებით

კომბინირებული თოფები არის ორლულიანი, სამლულიანი, ოთხლულიანი და მრავალლულიანი. ორლულიან კომბინირებულებს ერთი ლულა გლუვი აქვს, ხოლო მეორე კუთხვილი (ხრახნილი). სამლულიან კომბინირებულებს, როგორც წესი, ზედა ლულები გლუვი აქვთ, ხოლო ქვედა ხრახნილი.

არსებობს თოფები, რომლის ლულის არხის დიდი ნაწილი გლუვია, ხოლო გარკვეული ნაწილი კუთხვილი. ასეთ თოფებს „პარადოქსებს" უწოდებენ. ასეთი თოფებიდან გასროლილ საფანტს 30-40 მეტრში დამკმაყოფილებელი ჭრა აქვთ(სპეციალური ტყვიით 100 მეტრში).

ლულების რაოდენობისა და მათი წყობის მიხედვით სანადირო თოფები იყოფა ერთლულიან, ორლულიან, სამლულიან და ოთხლულიან თოფებად.

ორლულიანებში ლულათა წყობის მიხედვით არჩევენ ვერტიკალური და ჰორიზონტალური წყობის ლულებს.

გადატენვის საშუალებათა მიხედვით არჩევენ: ზუმბიან და სახაზინო თოფებს. სახაზინო გადატენვის თოფები თავის მხრივ იყოფა ფისტონის ცენტრალური აფეთქებისა და გვერდითი აფეთქების თოფებად (მცირეკალიბიანი კარაბინი „ეეკო").

ზუმბიან თოფებს ლულის ტუჩიდან ტენიან (დენთი-საფენი-ჭურვი -საფენი). ასეთი თოფის ახლიდან გადატენვის აუცილებელ ატრიბუტს ზუმბა წარმოადგენს.

გელა ჩავლეიშვილი

(გაგრძელება იქნება)

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 აგვისტო	4 აგვისტო	5 აგვისტო	6 აგვისტო	7 აგვისტო	8 აგვისტო	9 აგვისტო
წვიმა +22+29	ელ-ჭექი +24+30	მზე, ღრუბელი +22+30	ელ-ჭექი, +21+28	მზე +20+28	მზე +21+29	მზე +21+29
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა